ნინო ჟვანიას შესრულების მანერა დაახასიათა როგორც "იდეალური კომბინაცია ზუსტი ბგერის, ქორეოგრაფიული ნიჭისა და ინტენსიური კონცენტრაციისა", "Westfälischen Nachrichten"-მა კი იგი "ახალი მუსიკის თოვლის დედოფლად" მოიხსენია. თბილისის კონსერვატორიის დასრულების შემდეგ ნინო გაემგზავრა გერმანიაში, დიუსელდორფის რ. შუმანის სახელობის კონსერვატორიაში სასწავლებლად. განსაკუთრებულ დაინტერესებას თანამედროვე მუსიკით მოყვა გამარჯვება ორლეანის XX საუკუნის საფორტეპიანო მუსიკის საერთაშორისო კონკურსზე და მრავალჯერადი მონაწილეობა კ. შტოკჰაუზენის კურსებში. გერმანიაში სწავლისას მოპოვებული აქვს DAAD-ის, ალფრედ თოპფერის, ჰაინრიჰ ბიოლისა და Ensemble Modern–ის საერთაშორისო აკადემიის სტიპენდიები. თანამედროვე მუსიკისადმი ინტერესმა განაპირობა მისი სამეცნიერო მოღვაწეობაც: ნინო არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის აღსანიშნავია მონოგრაფია თანამედროვე საფორტეპიანო შემსრულებლობის შესახებ.

ნინო ჟვანიას ხშირად ეპატიჟებიან თანამედროვე მუსიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფესტივალებსა და კურსებზე როგორც კონსერტების, ისე მასტერკლასების მისაცემად ამერიკაში, არგენტინაში, უკრაინაში, გერმანიასა და აზერბაიჯანში. ნინო ასევე გახლავთ თანამედროვე მუსიკის ფესტივალების - „კონტრაპუნქტი" და "alla კონტრაპუნქტი" - და თბილისის კონსერვატორიის თანამედროვე მუსიკის ანსამბლის თანადამფუძნებელი. 2010 და 2013 წლებში ნინო ჟვანია ბოსტონის ნიუ ინგლენდის კონსერვატორიისა და ნიუ იორკის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი და მეცნიერი იყო. ამ უმაღლესი დაწესებულებების გარდა, მას ჩატარებული აქვს ლექციები ჰარვარდისა და ტაფტსის უნივერსიტეტებში.